



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება № MOH 0 22 00000213

ქ. თბილისი

12/12/2022 წელი



**„2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვება“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა
(გაიდლაინი) და „2 წლამდე ასაკის ბავშვთა ოპტიმალური კვების პრინციპები პირველად
ჯანდაცვაში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის
(პროტოკოლი) დამტკიცების თაობაზე**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ¹“ და „კ²“
ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018
წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2
პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე
მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) „2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვება“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია
(გაიდლაინი) დანართი №1;

ბ) „2 წლამდე ასაკის ბავშვთა ოპტიმალური კვების პრინციპები პირველად ჯანდაცვაში“ -
კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) დანართი
№2;

გ) პაციენტის საგანმანათლებლო მასალა - 2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვება დანართი №3.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2 წლამდე ასაკის ბავშვის კვება“ - კლინიკური
პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობების
მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 14
აპრილის №153/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

